



Food and Agriculture
Organization of the
United Nations



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



ბამბოს
ეროვნული სააგენტო



საქართველოს კანონი აკვაკულტურის შესახებ




ორგანული აკვაკულტურის განვითარების ასოციაცია



ფორეჯი
FOREJI
Organic Aquaculture Development Association

ავტორი: ორგანული აკვაკულტურის განვითარების ასოციაცია „ფორეჯი“

დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ „FAO-ს მხარდაჭერა საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორს ENPARD III-ის ფარგლებში“





შენიშვნა

ეს პუბლიკაცია მომზადებულია ორგანული აკვაკულტურის განვითარების ასოციაცია „ფორეჯის“ მიერ, ევროკავშირის და ფაოს ფინანსური დახმარებით. პუბლიკაციის შინაარსი განსაკუთრებით მხოლოდ და მხოლოდ ავტორის პასუხისმგებლობა და არ შეიძლება ასახავდეს ევროკავშირის ან FAO-ს შეხედულებებს.


ამ პუბლიკაციაში გამოყენებული აღნიშვნები და მასალის პრეზენტაცია არ გულისხმობს გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მხრიდან რაიმე ფორმით აზრის გამოხატვას რომელიმე ქვეყნის, ტერიტორიის, ქალაქის ან ადგილის და მისი უწყებების იურიდიულ თუ განვითარების სტატუსთან, ტერიტორიასთან ან მისი საზღვრების დელიმიტაციასთან დაკავშირებით.


შესავალი


 2020 წლის 20 ივნისს, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული იქნა კანონი „აკვაკულტურის შესახებ*“, რომელიც ქართული რეალობისათვის სიახლეს წარმოადგენს. მიუხედავად ქვეყნის ჰიდრორესურსების სიუხვისა და მეტნაკლებად განვითარებული აკვაკულტურის ინფრასტრუქტურისა, დღემდე არ არსებობდა ერთიანი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც დაარეგულირებდა თევზმომენებასა და თევზჭერასთან დაკავშირებულ საკითხებს. აღნიშნული კანონი ძალაში შევიდა 2021 წლის 1 მარტიდან,

 წინამდებარე ბუკლეტში განხილულია აკვაკულტურის კანონის ძირითადი საკვანძო კომპონენტები და მასთან დაკავშირებული კანონქვემდებარე აქტები და დებულებები: ნარჩენების მართვის კოდექსი; კანონი წყლის შესახებ; საქართველოს კანონმდებლობა დაცული ტერიტორიების შესახებ; გარდა ამისა, ბროშურის ბოლოს მითითებულია აკვაკულტურის კანონთან დაკავშირებული ყველა კანონმდებლობის და დებულების ინტერნეტ რესურსი. ბროშურა შემუშავებულია ფართო მასებისათვის და ვიმედოვნებთ დაეხმარება დარგში ჩართულ ყველა დაინტერესებულ პირს გარდამავალი პერიოდის განმავლობაში მოახდინოს საკუთარი წარმოების ადაპტირება კანონთან შესაბამისობაში და შეფერხებების გარეშე შეხვდეს კანონის სრულად ამოქმედებას.

*- <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4901055>).

 კანონი არეგულირებს აკვაკულტურის საქმიანობის განხორციელების პრინციპებსა და სამართლებრივ საფუძვლებს, აწესრიგებს საკუთრებასთან, ნებართვის გაცემასთან, საზღვაო წყლებში აკვაკულტურის ზონის გამოყოფასთან, სახელმწიფო კონტროლსა და აკვაკულტურასთან დაკავშირებულ სხვა ურთიერთობებს. მისი მიზანია ხელი შეუწყოს და მოაწესრიგოს საქართველოს კონტინენტური შეღვის და ტერიტორიული წყლების განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის და შიდა წყლების განსაზღვრულ ადგილებში აკვაკულტურის საქმიანობა.

 კანონი ერევა მხოლოდ ისეთ ურთიერთობებში რომელსაც შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს გარემოზე და ბიომრავალფეროვნებაზე, ადამიანის ჯანმრთელობაზე და სხვათა უფლებებზე. რისკების პრევენციისათვის იგი ითვალისწინებს სანებართვო სისტემას და უზრუნველყოფს როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო ბაზრებზე აკვაკულტურის პროდუქტების სურსათის უვნებლობის და მიკვლევადობის დაცვას.

 კანონის თანახმად, აკვაკულტურის საქმიანობა ხორციელდება ნებართვის საფუძველზე, იმ პირობებს, რომლებიც ამ კანონის ამოქმედებამდე ახორციელებდნენ ამავე კანონით მოწესრიგებულ აკვაკულტურის საქმიანობას, უფლება აქვთ, გააგრძელონ ეს საქმიანობა. აღნიშნული პირობი ვალდებული არიან ამ კანონის ამოქმედებიდან 2 წლის ვადაში (2023 წლის 1 მარტამდე) უზრუნველყონ აკვაკულტურის ნებართვის მიღება.

კანონით განსაზღვრული ნებართვის აღების ვალდებულება ან ვიზაღებუა:

რეცირკულაციური
აკვაკულტურის
მეურნეობებში

ხმელეთზე განთავსებული 50 მ3-მდე მოცულობის
აკვაკულტურის კონსტრუქციის მქონე
აკვაკულტურის სუბიექტზე.

აკვაკულტურის კონსტრუქციაზე,
რომელსაც ბუნებრივ ზედაპირულ
წყლებთან უშუალო კავშირი არ აქვს.

ასეთი პირობი ვალდებული არიან, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს შეატყობინოს ინფორმაცია საქმიანობის ადგილისა და მოსაშენებელი სახეობების შესახებ (სამეცნიერო ლათინური სახელწოდებით), ასევე, იქონიონ წყალსარგებლობის დოკუმენტაცია.

ზედაპირული წყლით მოსარგებლე – ნებისმიერი პირი, რომელიც ახორციელებს „საქართველოს ეროვნული“ კლასიფიკატორით* განსაზღვრული ეკონომიკურ საქმიანობას* და ეს საქმიანობა არ ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას, ვალდებულია, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №17 დადგენილების** თანახმად, შეიმუშაოს ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყლის ამოღების ტექნიკური პირობების პროექტი, და შეათანხმოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოსთან, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უფროსთან. თავის მხრივ, სამმართველო შეთანხმებულ ინფორმაციას წარუდგენს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ – გარემოს ეროვნულ სააგენტოს.

*<https://eqe.ge/res/docs/%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%99%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98.pdf>

** - <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2189418?publication=0>



სივრცითი მოწყობა (ზონირება) და გარემოს დაცვა



ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რაც აკვაკულტურის მდგრად განვითარებას უკავშირდება, არის აკვაკულტურის ადგილის განსაზღვრა სხვა სახის სამეწარმეო საქმიანობებში. სივრცითი მოწყობა (ზონირება) არის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი, განსაზღვრავს აკვაკულტურისათვის თავსებად ადგილებს (ტერიტორიებს) და უზრუნველყოფს სივრცითი მოწყობის გეგმებში მუნიციპალურ და საერთო-სახელმწიფოებრივ დონეზე აკვაკულტურაზე ზრუნვას; როგორც ხმელეთზე ასევე საზღვაო სივრცეზე. ეკონომიკური საქმიანობის მრავალფეროვნებისა და ზრდის გამო სივრცეებზე მოთხოვნა დღით დღე იზრდება. ეს შეეხება როგორც ხმელეთს, ასევე საზღვაო სივრცეს. საზღვაო სივრცესთან დაკავშირებით ინტერესთა კონფლიქტი და კონკურენცია კონკრეტულ ადგილებში კიდევ უფრო ძლიერია (თევზჭერა, ტურიზმი, საზღვაო ტრანსპორტი). სწორედ ამიტომ „აკვაკულტურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლი, ავალდებულებს ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს სივრცის დაგეგმარების გეგმის შემუშავებისას უზრუნველყოფილი იქნას აკვაკულტურის გათვალისწინება, რათა დაცული იქნას როგორც დარგის, ასევე მწარმოებლის და მომხმარებლის ინტერესები.



ხმელეთზე აკვაკულტურის მეურნეობებისათვის სივრცითი მოწყობის გეგმები (ზონირება) შემუშავების პროცესშია და წინასწარი შეზღუდვები კონკრეტულ ადგილებთან მიმართებაში არ არის დადგენილი. ამიტომ ნებართვის გაცემისას საკითხი წყდება ინდივიდუალურად ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.



რაც შეეხება, საზღვაო სივრცეს, „აკვაკულტურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის თანახმად, საზღვაო წყლებში აკვაკულტურის საქმიანობის წარმოება შესაძლებელია და ნებართვა გაიცემა აკვაკულტურისთვის გამოყოფილ ზონაში, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.



ამჟამად საზღვაო აკვაკულტურის ზონის ფართობი დამტკიცებული არ არის, მიმდინარეობს აქტიური მუშაობა, რათა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მოკლე ვადაში მოხდეს შავ ზღვაში ზონის გამოყოფა და მთავრობის მიერ მისი დამტკიცება შესაბამის სამინისტროებთან შეთანხმებით.



მოთხოვნები მწარმოებლისადმი



კანონის თანახმად, აკვაკულტურის საქმიანობა ხორციელდება შესაბამისი ნებართვის საფუძველზე. მსურველს უფლება აქვს მიმართოს გარემოს ეროვნულ სააგენტოს დასაბუთებული წერილობითი განაცხადით შესაბამისი ნებართვის მიღებაზე, რათა საქმიანობისათვის გამოიყენოს მის საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთი და წყლის ობიექტი. ნებართვა გაიცემა 20 წლამდე ვადით, რომელიც შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით არაუმეტეს 20 წლით გაგრძელდეს.



ნებართვის მაძიებელმა, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა, სააგენტოს განაცხადთან ერთად უნდა წარუდგინოს „აკვაკულტურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია. კერძოდ:




ინფორმაცია სამიზნე ადგილის შესახებ (მუნიციპალიტეტის, დასახლების ან ახლომდებარე დასახლებული პუნქტის, მდინარის აუზის დასახელებები);



სამიზნე ადგილის რუკა, ფართობი და გეოგრაფიული კოორდინატები, მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიული/საკადასტრო რუკა, არსებული მდგომარეობით (მასშტაბი 1:500 - 1:1000) და აზომვითი ნახაზი, მიწის ნაკვეთზე არსებული მდგომარეობის ამსახველი ფოტოსურათები;

- 🌀 ინფორმაცია სამიზნე ადგილის შესახებ (მუნიციპალიტეტის, დასახლების ან ახლომდებარე დასახლებული პუნქტის, მდინარის აუზის დასახელებები);
- 🌀 სამიზნე ადგილის რუკა, ფართობი და გეოგრაფიული კოორდინატები, მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიული/საკადასტრო რუკა, არსებული მდგომარეობით (მასშტაბი 1:500 - 1:1000) და აზომვითი ნახაზი, მიწის ნაკვეთზე არსებული მდგომარეობის ამსახველი ფოტოსურათები;
- 🌀 მუნიციპალიტეტისთვის წარდგენილი წერილობითი შეტყობინების ასლი, ხოლო მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმის არსებობის შემთხვევაში, აგრეთვე მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გაცემული დოკუმენტი სივრცითი მოწყობის გეგმასთან შესაბამისობის დადასტურების თაობაზე;
- 🌀 ხმელეთზე განთავსებული აკვაკულტურის კონსტრუქციის საპროექტო ნახაზი;
- 🌀 აკვაკულტურის ობიექტის (თევზის ან სხვა ჰიდრობიონტის) ქართული და ლათინური სახელწოდებები, ინფორმაცია გენეტიკური ფორმების შესახებ, მასალის ჩასმის სიმჭიდროვე;
- 🌀 ჩასასმელი მასალის (ლარვის, ლიფსიტის, მოზარდულის) მიღების გზები;
- 🌀 საკვებისა და საკვები დანამატების შესახებ დეტალური ინფორმაცია (საკვებისა და საკვები დანამატების მწარმოებელი, მარკა და შემადგენლობა);
- 🌀 სასუქების, სტიმულატორების, სამკურნალო-პროფილაქტიკური პრეპარატების, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების, სხვა ქიმიური საშუალებებისა და ტექნოლოგიების შესახებ დეტალური ინფორმაცია;
- 🌀 ინფორმაცია პროდუქციის წლიური ოდენობის შესახებ;
- 🌀 საქმიანობის განხორციელების მეთოდების და ტექნოლოგიური ციკლის დეტალური აღწერილობა;
- 🌀 გამოსაყენებელი ტექნოლოგიებისა და მოწყობილობების შესახებ ინფორმაცია;
- 🌀 აკვაკულტურის საქმიანობის განხორციელების დეტალური გეგმა;
- 🌀 ველურ სახეობაზე დაავადების გავრცელების თავიდან ასაცილებლად განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია;
- 🌀 ინფორმაცია აკვაკულტურის ობიექტის კონსტრუქციიდან გარემოში გაღწევისაგან დაცვის ღონისძიებების შესახებ;
- 🌀 მიწის ნაკვეთის საკუთრების ან სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- 🌀 ინფორმაცია ზედაპირული წყლის ობიექტიდან ამოსადები წყლის რაოდენობის, წყალაღების წერტილის და ასევე, ზედაპირული წყლის ობიექტის ზოგადი ჰიდროლოგიური მონაცემების თაობაზე („გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №17 დადგენილებით დამტკიცებული „გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით“ გათვალისწინებული მოთხოვნები);
- 🌀 კომპეტენტური სპეციალისტის/ორგანიზაციის მიერ შედგენილი წყლის ხარისხის ანალიზი, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგ პარამეტრებს:




🌀 თუ აკვაკულტურის კონსტრუქციის განთავსება იწვევს ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნას, წარმოდგენილი უნდა იქნას სამინისტროსთან შეთანხმებული დოკუმენტი, „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად.

🌀 აკვაკულტურის საქმიანობის მიზნით მიწისქვეშა წყლების გამოყენების შემთხვევაში, ნებართვის მაძიებელმა უნდა წარადგინოს ინფორმაცია წყალპუნქტის სახეობის (ჭა, ჭაბურღილი), მისი ადგილმდებარეობის (კოორდინატები UTM – WGS 1984 სისტემაში) და შესაბამისი სარგებლობის ლიცენზიის შესახებ.

🌀 თუ ნებართვის მაძიებელი ითხოვს წელიწადში 40 ტონაზე მეტი წარმადობის აკვაკულტურის მეურნეობის მოწყობას ან აკვაკულტურის მიზნით შეკავებული ან დაგროვებული წყლის მოცულობა 10 000 მ³-ზე მეტია, ნებართვის მაძიებელმა, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის შესაბამისად, უნდა წარადგინოს სამინისტროს გადაწყვეტილება იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

ნებართვის მაძიებელმა განაცხადში უნდა მიუთითოს მოთხოვნილი ნებართვის მოქმედების ვადა

აკვაკულტურის მწარმოებელმა უნდა უზრუნველყოს:



აკვაკულტურის სუბიექტი ვალდებულია უზრუნველყოს აკვაკულტურის ცხოველთა:





მოთხოვნები წყლის ხარისხის მიმართ



აკვაკულტურის სუბიექტი ვალდებულია წყლის რესურსები გამოყენოს შემდეგი მოთხოვნების დაცვით:

- 🔹 საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, უზრუნველყოს მოხმარებული წყლის ხარისხის შენარჩუნება წარმოებული აკვაკულტურის პროდუქციის ადამიანის მიერ სურსათად მოხმარებისათვის,
- 🔹 არ განახორციელოს საქმიანობა ისეთ ადგილებში, სადაც მაღალია წყლის დაბინძურების რისკი;
- 🔹 შესაძლებლობის ფარგლებში განახორციელოს წყლის მოხმარების ოპტიმიზაცია მისი განმეორებითი გამოყენების ან რეციკლაციის გზით;
- 🔹 მდინარეზე ექსტენსიური აკვაკულტურის განხორციელებისას, უზრუნველყოს წყლის დონის ისეთი რეჟიმის შენარჩუნება, რომლითაც მიღწეული იქნება ნორმალურ პირობები წყალამღებების მუშაობისათვის, თევზის მომწიფებისათვის და გაზრდისათვის;
- 🔹 ზედაპირული წყლების დაცვა განახორციელოს „წყლის* შესახებ“ საქართველოს კანონისა და გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების მიხედვით. მათ შორის, ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების შესაბამისად. აკვაკულტურის საქმიანობისათვის გამოყენებული წყლის ხარისხის მაჩვენებლები უნდა შეესაბამებოდეს „საქართველოს ზედაპირული წყლების დაბინძურებისაგან დაცვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №425 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნებს;
- 🔹 ამ მოთხოვნების შესრულებისთვის რეგულარულად განახორციელოს გამოყენებული წყლის ხარისხის თვითკონტროლი.

*-<https://matsne.gov.ge/ka/document/view/33448?publication=26>



მოთხოვნები ცხოველის საკვების მიმართ



აკვაკულტურის მოშენებისათვის გამოყენებული ცხოველის საკვები უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს, ასევე:

- 🔹 კვებისათვის გამოყენებული მეთოდები უნდა უზრუნველყოფდეს აკვაკულტურის ცხოველის ზრდის ოპტიმიზაციას და საკვების მინიმალურ დანაკარგებს;
- 🔹 კვებისთვის გამოყენებული საკვები უნდა იყოს მაღალი ხარისხის და შეესაბამებოდეს კულტივირებული სახეობის კვების რაციონს;
- 🔹 არ უნდა იქნა გამოყენებული ვადაგასული და არაკონდიციონირებული საკვები;
- 🔹 საკვები უნდა ინახებოდეს მწარმოებლის მიერ განსაზღვრული პირობების შესაბამისად და დაცული უნდა იყოს გაფუჭებისაგან, დაობებისა და დაბინძურებისაგან;
- 🔹 საკვები არ უნდა შეიცავდეს პესტიციდის, ქიმიურ დამაბინძურებლების, მიკრობულ ტოქსინების და სხვა მინარევების ისეთ რაოდენობას, რომელიც საფრთხეს წარმოადგენს მისი უვნებლობისათვის;
- 🔹 ცხოველის საკვები, რომელიც მიღებულია საწარმოო გზით, უნდა იყოს სათანადოდ ეტიკეტირებული და მისი შემადგენლობა შესაბამისობაში უნდა იყოს ეტიკეტზე მითითებულ შემადგენლობასთან;

🕒 ცხოველის საკვებში დამატებული უნდა იქნეს მხოლოდ ცხოველთა საკვებში გამოყენებისათვის დაშვებული საკვები დანამატები, ზრდის სტიმულატორები და საღებავები დაშვებული რაოდენობით;

🕒 თევზის მეურნეობაში საკვებად მიწოდებული ახალი და გაყინული თევზი უნდა იყოს კეთილხარისხიანი;

🕒 საკვები, რომელიც შეიცავს სამკურნალო საშუალებებს, ეტიკეტზე უნდა შეიცავდეს სათანადო მინიშნებას და უნდა ინახებოდეს განცალკევებით. მისი გამოყენება უნდა მოხდეს ინსტრუქციის შესაბამისად.

🕒 აკვაკულტურის ცხოველის ზრდის და წარმადობის ოპტიმიზაციისათვის, ასევე საკვები დანაკარგების შემცირებისათვის, გამოყენებული უნდა იქნეს კვების ეფექტური და ადაპტირებული მეთოდები. უპირატესია ბუნებრივი საკვების გამოყენება.

სხვა მოთხოვნები, რომელიც დაკავშირებულია ტრანსპორტირებასთან, მიკვლევადობასთან, ამოჭრასთან, ჰიგიენასთან, ვეტერინარული პრეპარატებისა და სამკურნალო საშუალებებთან, დათვზიანებათან, წესრიგდება მთავრობის 2021 წლის 6 ივლისის №325 დადგენილებით „აკვაკულტურის ტექნიკური რეგლამენტი“თ



მწარმოებლის ვალდებულებები



კანონის თანახმად, აკვაკულტურის ნებართვის მფლობელი ვალდებულია შეასრულოს შემდეგი პირობები:

🕒 დაიცვას აკვაკულტურის ნებართვით განსაზღვრული პროდუქციის წარმადობის ზღვრული მოცულობები;

🕒 აღკვეთოს აკვაკულტურის ობიექტის კონსტრუქციიდან ღია გარემოში გაღწევის შესაძლებლობა;

🕒 განახორციელოს დონისძიებები თევზის დაავადების გავრცელების თავიდან ასაცილებლად;

🕒 მოაშენოს აკვაკულტურის ობიექტის ის სახეობა, რომელიც განსაზღვრულია აკვაკულტურის ნებართვით, დაიცვას მისი ჩასმის სიმჭიდროვის ნორმა;

🕒 უზრუნველყოს წყლის ხარისხის სისტემატური მონიტორინგი და მონმარებული წყლის ზედაპირული წყლის ობიექტში ჩადინებამდე გაწმენდა;

🕒 დაიცვას სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნები;

🕒 აკვაკულტურის ნებართვის მოქმედების ვადის გასვლის ან გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდეგ, უზრუნველყოს გაშვებული წყლის ორგანიზმისა და წყალსატევში განთავსებული აკვაკულტურის კონსტრუქციის წყლის ობიექტიდან ამოღება, აკვაკულტურის საქმიანობის განხორციელების ადგილი და მისი მიმდებარე ტერიტორიაზე ადადგინოს პირვანდელი სახით;

🕒 უზრუნველყოს სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის უფლებამოსილების მქონე პირთა აკვაკულტურის საქმიანობის განხორციელების ადგილზე დაშვება;

🕒 უზრუნველყოს თევზის დაავადების ან/და დაღუპვის, აკვაკულტურის ობიექტის გარემოში გაღწევის (გაქცევის) შემთხვევის შესახებ უფლებამოსილი ორგანოსთვის დაუყოვნებლივ შეტყობინება; აანაზღაუროს აკვაკულტურის ობიექტის გაქცევით გარემოსთვის მიყენებული ზიანი;

🕒 აწარმოოს და შეინახოს აკვაკულტურის საქმიანობაში გამოყენებული ქიმიური ნივთიერებებისა და სამკურნალო საშუალებების, წყლის ცხოველური ორგანიზმების მიღებისა და გადატანის შესახებ ჩანაწერები;

სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოს წარუდგინოს საქმიანობის შესახებ წლიური ანგარიში და მის მიერ მოთხოვნილი აუცილებელი მონაცემები და ჩანაწერები;

აკვაკულტურის კონსტრუქცია უზრუნველყოს მტაცებლისგან დამცავი ბადით, აგრეთვე უზრუნველყოს საზღვაო წყლებში ან წყალსატევში არსებული აკვაკულტურის საქმიანობის არეალში შუქურების განთავსება და მონიშვნების მოწყობა;

შეასრულოს აკვაკულტურის ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნები;

შეასრულოს ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები.

ნებართვის მფლობელმა სამინისტროს დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს აკვაკულტურის ობიექტში ნებისმიერი დაავადებული წყლის ორგანიზმის არსებობის შესახებ, აგრეთვე უნდა მიაწოდოს ინფორმაცია წყლის დაბინძურებისა და გარემოსა და წყლის ხარისხობრივი მაჩვენებლების სხვაგვარი გაუარესების თაობაზე. უნდა მიიღოს ყველა შესაძლო ზომა აკვაკულტურის ობიექტის განადგურებისა და დუზინფექციის ჩატარების ჩათვლით, რათა თავიდან აიცილოს დაავადების, როგორც აკვაკულტურის კონსტრუქციაში, ისე აკვაკულტურის კონსტრუქციიდან გარემოში გავრცელება.

აკვაკულტურის სუბიექტი ვალდებულია შეასრულოს ნარჩენების მართვის კოდექსით დადგენილი მოთხოვნები. იგი ვალდებულია ამ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილი ორგანოს მიერ წერილობით მიმართვიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში მიაწოდოს მას აკვაკულტურის საქმიანობასთან დაკავშირებული, ამ ორგანოს მიერ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განსახორციელებლად აუცილებელი ინფორმაცია.

აკვაკულტურის სუბიექტი ვალდებულია სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს და ნებართვის გამცემს ყოველწლიურად, 30 იანვრამდე წარუდგინოს წერილობითი ანგარიში სანებართვო პირობების შესრულების, წლის განმავლობაში მოშენებული აკვაკულტურის ობიექტების რაოდენობების, აკვაკულტურის ობიექტების გამოზრდის ციკლის, სარეალიზაციო ზომების, მათთვის გამოყენებული საკვებისა და საკვები დანამატების ოდენობების შესახებ.

აკვაკულტურის სუბიექტი ვალდებულია აკვაკულტურის საქმიანობა განახორციელოს ნებართვის საფუძველზე, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა.

აკვაკულტურის სუბიექტი, როგორც პირველადი წარმოების განმახორციელებელი, ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს შესაბამისი საქმიანობის რეგისტრაცია „ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში“, როგორც ბიზნესოპერატორი.

აკვაკულტურის სუბიექტი, როგორც ბიზნესოპერატორი, ვალდებულია საქმიანობის დაწყების, შეწყვეტის ან საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი რეგისტრირებული მონაცემის ცვლილების შემთხვევაში, ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში ცვლილების შეტანის მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მიმართოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.

რეგისტრაციის გარეშე აკვაკულტურის სუბიექტის, როგორც ბიზნესოპერატორის საქმიანობა აკრძალულია.

აკვაკულტურის სუბიექტი, როგორც ბიზნესოპერატორი, ვალდებულია დაიცვას საქართველოს კანონით „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსით“ განსაზღვრული ვალდებულებები ვეტერინარიის სფეროში. მათ შორის:

- განახორციელოს ეპიზოტიის საწინააღმდეგო, პრევენციული და სალიკვიდაციო ღონისძიებები, მათ შორის, ვაქცინაცია, დიაგნოსტიკური გამოკვლევები, მკურნალობა და გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო სხვა ღონისძიებები;
- შეასრულოს უფლებამოსილი ორგანოს მითითებები ეპიზოტიის საწინააღმდეგო, პრევენციული, სალიკვიდაციო და საიდენტიფიკაციო სარეგისტრაციო ღონისძიებების განსახორციელებლად;
- ითანამშრომლოს შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებთან აკვაკულტურის ცხოველთა დაავადების საწინააღმდეგო სადიაგნოსტიკო, პრევენციული და სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებისას;
- უზრუნველყოს აკვაკულტურის ცხოველთა ბაზარზე განთავსება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- გადამდები დაავადებების, აგრეთვე აკვაკულტურის ცხოველთა მასობრივი მოწამვლა-მოშხამვის შემთხვევების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს უფლებამოსილ ორგანოს.

მწარმოებლის ვალდებულებები


- კანონის თანახმად, აკვაკულტურის კონსტრუქციაში სპეციალურად ჩასმული, სხვადასხვა ფორმისა და ტიპის ბაგირის ან ხელოვნურ მყარ ფსკერულ კონტრუქციაზე (მათ შორის, ხელოვნურ რიფზე) მიმაგრებული ჰიდრობიონტები არის აკვაკულტურის სუბიექტის საკუთრება, რომელიც დაცულია საქართველოს კანონმდებლობით.
- აკვაკულტურის ნებართვით განსაზღვრულ აკვაკულტურის საქმიანობის არეალში ნებისმიერ პირს ეკრძალება:


- დააბრკოლოს აკვაკულტურის სუბიექტი ან ხელი შეუშალოს მას, მოიპოვოს, გადაიყვანოს ან გადაადგილოს თევზი ან წყლის სხვა ორგანიზმი ან აღჭურვილობა/მოწყობილობა, რომელსაც აკვაკულტურის ნებართვის მფლობელი ამ არეალში თევზის ან წყლის სხვა ორგანიზმის გასამრავლებლად ან გასაზრდელად იყენებს;
- განახორციელოს ნებისმიერი სხვა ქმედება, რომელიც ზიანს აყენებს ან რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს ამ არეალს ან დააბრკოლოს აკვაკულტურის სუბიექტი ან ხელი შეუშალოს მას აკვაკულტურის საქმიანობის განხორციელებაში.
- სახელმწიფო ორგანოებს, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ეკრძალებათ ისეთი ღონისძიების განხორციელება, რომელიც საფრთხეს უქმნის აკვაკულტურის საქმიანობის განხორციელებას ან სხვაგვარად ხელყოფს აკვაკულტურის სუბიექტის უფლებებს.


- სახელმწიფო უზრუნველყოფს აკვაკულტურის სუბიექტის უფლებების დაცვას.




ნებადართული სახეობები

 აკვაკულტურის საქმიანობაში ერთ ერთი მნიშვნელოვანი სწორედ შერჩეული სახეობაა. ამიტომ სანებართვო პირობების ერთ-ერთი მთავარი ნაწილი ადგილობრივ გარემო პირობებთან თავსებადი ისეთი სახეობების წარმოებაა, რომელიც საფრთხეს არ უქმნის ადგილობრივ სახეობებსა და ბიომრავალფეროვნებას, როგორც გარემოს დაცვისა და დაავადებების გავრცელების პრევენციის, ასევე გარემო პირობებთან მათი პროდუქტიული ზრდის და ტემპერატურის გათვალისწინებით. სახელმწიფოს მიზანია აიცილოს თავიდან უცხო სახეობების გავრცელება, რადგან ასეთი სახეობები შეიცავენ პირდაპირ საფრთხეს ადგილობრივი სახეობების შემცირებისათვის და დროთა განმავლობაში იწვევენ მათ გაქრობას. ამიტომაც, კანონის თანახმად, მწარმოებელს მოეთხოვება მოაშენოს აკვაკულტურის ობიექტის ის სახეობა, რომელიც განსაზღვრულია აკვაკულტურის ნებართვით და ვალდებულია დაიცვას მისი ჩასმის სიმჭიდროვის ნორმები.

 აკვაკულტურის საქმიანობის განსახორციელებლად საქართველოს ტერიტორიაზე უცხო სახეობის შემოყვანა და გადაზიდვა (გარდა ტრანზიტისა) ხდება სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს თანხმობით, აკვაკულტურის მრჩეველთა საბჭოს დასკვნის საფუძველზე.





 სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ თანხმობა გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უცხო სახეობის შემოყვანა და გავრცელება არ შეცვლის ან არ დააზიანებს წყლის სხვა ცოცხალ რესურსებს, მათ ჰაბიტატებს და შესაბამის ეკოსისტემას.










 აკვაკულტურის საქმიანობის განსახორციელებლად უცხო სახეობის შემოსაყვანად წარსადგენი განაცხადის ფორმა*, ამ განაცხადისთვის დასართავი დოკუმენტების ნუსხა, უცხო სახეობის შემოყვანის წესი და პირობები, აგრეთვე მის შემოყვანაზე თანხმობის გაცემის ვადა განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით. უცხო სახეობის შემოყვანისა და გადაადგილების კონტროლის მიზნით მინისტრის ბრძანებით განისაზღვრა იმ სახეობების ნუსხა, რომლებიც საქართველოს წყლებში ბინადრობენ. ყველა სხვა სახეობა, რომლებიც ამ ნუსხით გათვალისწინებული არ იქნება, უცხო სახეობად იქნება მიჩნეული.

*- <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5187410?publication=0>



მონიტორინგი და ინსპექტირება

-  ნებისმიერი პირი, რომელიც აკვაკულტურის საქმიანობას ახორციელებს, ვალდებულია „აკვაკულტურის შესახებ“ კანონით განსაზღვრული ზედამხედველობის განმახორციელებელ უფლებამოსილ ორგანოს, მოთხოვნის შემთხვევაში, მიაწოდოს ინფორმაცია, დოკუმენტები, ნიმუშები და მასალები და გაუწიოს ამ ორგანოს თავისი უფლებამოსილების განსახორციელებლად აუცილებელი სხვა სახის დახმარება.
-  ნებისმიერი პირი, რომელიც აკვაკულტურის საქმიანობას ახორციელებს, ვალდებულია ზედამხედველობის განმახორციელებელ უფლებამოსილ ორგანოს მისცეს ამ საქმიანობის განხორციელების ადგილზე შესვლისა და მოწყობილობისა და აღჭურვილობის ხელმისაწვდომობის უფლება მათი უფლებამოსილების განსახორციელებლად.
-  აკვაკულტურის საქმიანობის გარემოსდაცვით მონიტორინგს ახორციელებს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო, ხოლო სახელმწიფო კონტროლსა და ზედამხედველობას საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებენ სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი და სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სურსათის ეროვნული სააგენტო.
-  ზედამხედველობის განხორციელებაზე უფლებამოსილ პირს უფლება აქვს:


-  დაუბრკოლებლად შევიდეს ნებისმიერ მიწის ნაკვეთზე და შენობაში, რათა შეამოწმოს, როგორ ასრულებს პირი – აკვაკულტურის ნებართვის მფლობელი კანონს ან სანებართვო პირობებს;
-  მოსთხოვოს პირს, წარადგინოს ნებისმიერი ჩანაწერი ან დოკუმენტი, რომელიც მას უნდა ჰქონდეს ამ კანონის შესაბამისად, აგრეთვე შეამოწმოს ეს ჩანაწერი ან დოკუმენტი, გააკეთოს ამ ჩანაწერიდან ან დოკუმენტიდან ამონაწერი ან გადაიღოს აღნიშნული ჩანაწერის ან დოკუმენტის ასლი;
-  დაუბრკოლებლად შეამოწმოს ნებისმიერი მოწყობილობა ან აღჭურვილობა, რომელსაც პირი აკვაკულტურის საქმიანობის განხორციელებისას იყენებს;
-  მოსთხოვოს პირს, უზრუნველყოს მის მფლობელობაში არსებული ნებისმიერი საგნის ინსპექტირების მიზნით უფლებამოსილი პირისთვის წარდგენა ან დაცვა, თუ უფლებამოსილი პირი მიიჩნევს, რომ ეს საგანი ამ კანონით განსაზღვრული სამართალდარღვევის ჩადენის მტკიცებულებაა;
-  გადაიღოს ფოტო, ჩაატაროს გაზომვა, გააკეთოს ესკიზი ან ნახაზი, აგრეთვე ჩანაწერი ნებისმიერი საშუალებით;
-  განახორციელოს კანონით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებები.
-  უფლებამოსილმა პირმა კანონით განსაზღვრული მოვალეობის შესრულებისას უნდა წარადგინოს უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.
-  დაუშვებელია იმ უფლებამოსილი პირის შეფერხება, დაბრკოლება, შეცდომაში შეყვანა, რომელიც ახორციელებს კანონით განსაზღვრულ უფლებამოსილებას, აგრეთვე მის საქმიანობაში უკანონო ჩარევა, მისთვის ხელის შეშლა.
-  აკვაკულტურის სუბიექტი ვალდებულია შეასრულოს უფლებამოსილი პირის კანონიერი ინსტრუქცია, მითითება, მოთხოვნა.



დაკავშირებული კანონქვემდებარე აქტები და დებულებები

 კანონის მიღების შემდეგ დადგენილ ვადებში დამტკიცდა კანონით გათვალისწინებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების უმრავლესობა:

-  მთავრობის დადგენილება „აკვაკულტურის ტექნიკური რეგლამენტი“, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5209929?publication=0>
-  მთავრობის დადგენილება აკვაკულტურის უწყებათაშორისი საბჭოს შემადგენლობისა და საქმიანობის წესის შესახებ; <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5095886?publication=0>
-  მთავრობის დადგენილება „აკვაკულტურის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ“; <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5171335?publication=0>
-  მთავრობის დადგენილება „ექსტენსიური აკვაკულტურის ნებართვის გაცემის წესი და პირობების შესახებ“; <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5209940?publication=0>
-  მინისტრის ბრძანება „აკვაკულტურის მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობისა და საქმიანობის წესის შესახებ“; <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5104492?publication=0>
-  მინისტრის ბრძანება: გარემოსდაცვითი მონიტორინგის პროგრამა; <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5118011?publication=0>
-  მინისტრის ბრძანება „უცხო სახეობის შემოყვანის წესი და პირობების შესახებ“; <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5187410?publication=0>
-  მინისტრის ბრძანება „საქართველოში წარმოებული აკვაკულტურის ობიექტების აკვაკულტურისადმი კუთვნილების დამადასტურებელი დოკუმენტის ფორმისა და გაცემის წესის შესახებ“; <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5171335?publication=0>
-  მინისტრის ბრძანება აკვაკულტურის კვლევის თანხმობის გაცემის წესის შესახებ“; <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5193606?publication=0>
-  მინისტრის ბრძანება „საქართველოს წყლებში მობინადრე, ადგილობრივი და ადგილობრივთან გათანაბრებული წყლის ორგანიზმების სახეობების ნუსხის“ დამტკიცების შესახებ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5187376?publication=0>
-  მინისტრის 2021 წლის 9 მარტის №2-270 ბრძანება „ჰიდრობიონტის აკვაკულტურისადმი კუთვნილების დამადასტურებელი დოკუმენტის ფორმისა და გაცემის წესის განსაზღვრის შესახებ“ <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5115702?publication=0>

 დასამტკიცებელია მხოლოდ 2 დოკუმენტი (მთავრობის დადგენილება „საქართველოს საზღვაო წყლებში აკვაკულტურის ზონის (ზონების) დადგენის შესახებ“; აკვაკულტურისათვის გამოყოფილი ზონის მართვის გეგმა), რომლებზედაც მიმდინარეობს აქტიური მუშაობა.



თარმინთა განმარტებები

- **აკვაკულტურა** – წყლის ცოცხალი ორგანიზმის მოშენება მისი ბუნებრივი შესაძლებლობების მიღმა.
- **აკვაკულტურის კონსტრუქცია** – თევზმოშენებისათვის განკუთვნილი ნებისმიერი ხელოვნური წყალსატევი ან წყალსატევეში განთავსებული თევზსაშენი გალია, ოჩხი, კოლექტორი ან კონსტრუქცია, რომელიც გამოყენება თევზმოშენებისათვის.
- **აკვაკულტურის კოლექტორი** – წყალსატევეში, წყლის უხერხემლოთა და წყალმცენარეთა შესაგროვებლად, ან გამოსაზრდელად გამოყენებული სხვადასხვა ფორმისა და ტიპის კონსტრუქცია;
- **აკვაკულტურის სუბიექტი** – პირი, რომელსაც კანონის შესაბამისად უფლება აქვს, განახორციელოს აკვაკულტურის საქმიანობა;
- **აკვაკულტურის ობიექტი** – წყლის ცოცხალი ორგანიზმი, რომელიც აკვაკულტურის სუბიექტის მიერ იწარმოება;
- **აკვაკულტურისთვის გამოყოფილი ზონა** – საზღვაო არეალი, რომელიც ძირითადადაკვაკულტურის განვითარებისათვისაა განკუთვნილი;
- **ბუნებრივი საკვები ბაზა** – წყლის ცხოველი და მცენარე, მათი ნარჩენი, ცხოველური და მცენარეული წარმოშობის მიკროორგანიზმი, რომელიც აკვაკულტურის ობიექტისთვის ბუნებრივი საკვებია;
- **გარემოსდაცვითი მონიტორინგის პროგრამა** – კანონით განსაზღვრული უფლებამოსილი ორგანოებისა და აკვაკულტურის სუბიექტების მიერ აკვაკულტურის მართვის მექანიზმში, რომელიც ახორციელებს პერიოდულ გარემოსდაცვითი შეფასება და მონიტორინგს და ინფორმაციის ჩაწერასა და შენახვას;
- **დაავადება** – წყლის ცხოველში ერთი ან მეტი ავადმყოფობით გამოწვეული ინფექცია კლინიკური ან კლინიკური ნიშნების გარეშე;
- **დათევზიანება** – წყალსატევეში წყლის ცხოველური ორგანიზმის ქვირითის, ლარვის, ლიფსიტის მიზნობრივი გაშვება;
- **ერთი სარკმლის პრინციპი** – ადმინისტრაციული წარმოების წესი, რომლის მიხედვით, ნებართვის გამცემი უზრუნველყოფს სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დამატებითი სანებართვო პირობების ან შეთანხმების დადასტურებას;
- **ექსტენსიური (ეკოლოგიური) აკვაკულტურა** – ბუნებრივ ან ხელოვნურ წყალსატევეში ხელოვნურად თევზის მოშენება, არსებული თევზის აღწარმოების ხელშეწყობა და თევზჭერა;
- **ეკოსისტემა** – მცენარეთა, ცხოველთა, მიკროორგანიზმთა და მათი გარემომცველი არაცოცხალი გარემოს დინამიკური კომპლექსი, რომელიც მოქმედებს, როგორც ფუნქციური მთლიანობა;
- **თევზსაშენი გალია** – წყალსატევის ბარიერით შემოსაზღვრული სივრცე, რომელიც წყალსატევის ფსკერს უშუალოდ არ ეხება და გამოიყენება თევზმოშენებისათვის;
- **თევზსაშენი ოჩხი** – მთელს სიღრმეზე წყალგამტარი ბარიერით გვერდებიდან შემოსაზღვრული წყალსატევის უბანი, გამოიყენება თევზმოშენებისათვის;

- **ზედაპირული წყლები** - ეწოდება დედამიწის ზედაპირზე არსებულ ყველა გამდინარე ან დამდგარ წყალს გარდა მიწისქვეშა და სანაპირო წყლებისა. (მდინარეები, ნაკადულები, არხები, ტბები, წყალსაცავები, აუზები)
- **ინტროდუქცია** – წყლის ახალი ორგანიზმის ჩასახლება და გამრავლება იმ წყალსატევში, სადაც იგი ადრე არ ბინადრობდა;
- **ინფექცია** – პათოგენური პარაზიტის შეჭრა ადამიანის ან ცხოველის ორგანიზმში და მისი დასნეულება ღია ან ფარული სახით;
- **მარიკულტურა** – აკვაკულტურა საზღვაო წყლებში;
- **მოზარდული** – აკვაკულტურის ობიექტის ინდივიდუალური განვითარების სტადია, ლიფსიტობის დასრულებიდან სქესობრივ მომწიფებამდე;
- **ოჯახური წარმოების სუბიექტი** – ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს აკვაკულტურის პროდუქციის წარმოებას პირადი მოხმარების მიზნით;
- **პირველადი წარმოება** – პროცესი, რომელიც მოიცავს აკვაკულტურის ცხოველის გაზრდას, მოშენებას დაკვლამდე, პირველადი წარმოება ასევე მოიცავს თევზჭერას;
- **რეცირკულაციური აკვაკულტურის სისტემა** – წყლის ორგანიზმების კულტივირებისთვის განკუთვნილი სისტემა, რომელშიც ხდება გამოყენებული წყლის მრავალჯერ აღდგენა - გამოყენება;
- **ტერიტორიების სივრცითი მონყობა** - ტერიტორიების ფიზიკური გარემოსა და ინფრასტრუქტურის ფორმირებისათვის კანონმდებლობის, ამ დარგის სახელმწიფო და ადგილობრივი პოლიტიკის, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების, ფიზიკური და იურიდიული პირების მოღვაწეობის ერთობლიობით განსაზღვრული პირობები და პროცესები;
- **უცხო სახეობა** – წყლის ორგანიზმის ნებისმიერი სახეობა, რომელიც, როგორც წესი, საქართველოს წყლებში არ ბინადრობს;
- **ცხოველის კეთილდღეობა** – ცხოველის მოვლა-შენახვისა და ბუნებრივი ქცევისათვის საჭირო პირობების უზრუნველყოფა, რომელიც უზრუნველყოფს მათ დაცვას დაავადებებისაგან, ტკივილის, შიშისა და სხვა სტრესისაგან დაცვას.
- **ჩასმის სიმჭიდროვე** – წყლის ცხოველების რაოდენობა ერთეულ მოცულობაში ან სივრცეში;
- **ხელოვნური აღწარმოება** – ჰიდრობიონტისგან სასელექციო მასალების ხელოვნურად მიღება, განაყოფიერება, ინკუბაცია, შთამომავლობის მიღება და ბუნებრივ წყალსატევში გაშვება ბიოლოგიური რესურსის შენარჩუნების მიზნით;
- **ჰიდრობიონტი** – წყლის ცოცხალი ორგანიზმი;
- **წყალალეობა** - წყლის ზედაპირული ან მიწისქვეშა ობიექტებიდან წყლის გარკვეული რაოდენობის ამოღება ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ან უიმისოდ.

დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ ვებ გვერდს:

<https://nea.gov.ge/>

ელ-ფოსტა: info@nea.gov.ge

ტელეფონი: +995 32 2439526/+995 551120558

აჭარის ა/რ: <http://adjara.gov.ge/branches/publicinfo.aspx?gid=4>

<http://adjara.gov.ge/branches/default.aspx?gid=1>

+995 (422) 27-35-90

ნებართვის მისაღები სააპლიკაციო ფორმის

ჩამოსატვირთად ეწვიეთ ვებ გვერდს:

<https://nea.gov.ge/Ge/Announcements/2>

